ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ნესტან სულავა
ასოცირებული პროფესორი, თსუ

„შვიდის“ სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ უძველეს კულტურულ სივრცესა და ძველ ქართულ მწერლობაში

შვიდის სიმბოლური გააზრების მოდელში წინაქრისტიანული და ქრისტიანული ეპოქების მსოფლმხედველობა იკითხება საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან ერთად. მასში ღრმა და ფარული ცოდნაა კოდირებული, საიდუმლო მეტაინფორმაციას შეიცავს, რაც, ერთი მხრივ, რიცხვთა სიმბოლიკას, მეორე მხრივ, ენიგმატურ ხელოვნებას უკავშირდება.

„შვიდი“ საკრალურ რიცხვთა რიგს განეკუთვნება. შვიდის საკრალურობა რამდენიმე სააზროვნო სისტემით წარმოჩნდება: 1. კოლექტიური ცნობიერების გამოვლინების კვალობაზე: ეთნოკულტურული, მითოლოგიური და ფოლკლორული მონაცემებით; 2. რელიგიური, კერძოდ, ქრისტიანული მსოფლმხედველობით, რაც ბიბლიურ-ევანგელურ და აპოსტოლურ სწავლებებს ემყარება; 3. ისტორიული, რაც საქართველოს ისტორიული წარსულის სახისმეტყველებითად გააზრებით წარმოიდგინება. რიცხვი „შვიდი“ საიდუმლო მეტაინფორმაციის შემცველი და მრავალმხრივ საკრალური რიცხვია. „მეშვიდე“ თავისი თვისებრიობით, არსობრივი მნიშვნელობით უპირატესია ექვსზე, მაგრამ ექვსი და მეშვიდე ერთმანეთის გარეშე საკრალურობას, მისტიურ ღირებულებას კარგავენ, ისინი ერთადაა საკრალურობისა და ენიგმურობის მატარებელი. ამგვარი გააზრება რიცხვთა მითოლოგიურ სისტემასა და ფოლკლორულ მონაცემებს ემყარება.

„შვიდის“ სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ უძველეს კულტურულ სივრცეში. რიცხვთა მისტიური, სიმბოლური მნიშვნელობის განსაზღვრის დასაბამი უძველესი მისტერიებიდან, რწმენა-წარმოდგენებიდან, მითებიდან, აღმოსავლური კულტურიდან, ანტიკური ფილოსოფიიდ-

ან და ლიტერატურიდან მომდინარეობს. ვ. ტოპოროვმა აღნიშნა, რომ არქაულ ტრადიციებში ნუმეროლოგიას იმგვარ სიტუაციებში იყენებდნენ, რომლებსაც საკრალური, „კოსმიური“ მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან რიცხვი აღიქმებოდა სამყაროს სახედ და, აქედან გამომდინარე, მისი განვითარების ციკლურ სქემაში პერიოდული აღდგენის საშუალებადაც დესტრუქციული ქაოტური ტენდენციების გადასალახავად.[1] პითაგორასა და პითაგორელების რიცხვთა მისტიკური მოძღვრების მიხედვით, რიცხვი საგანთა საიდუმლოს გულისხმობს, ხოლო მსოფლიო ჰარმონია ღვთის შემოქმედების ნაყოფად არის მიჩნეული. პითაგორამ და მისმა მიმდევრებმა თეოგონიის პროცესი სწორედ რიცხვთა თეორიას დაამყარეს. ე. შიურემ პითაგორასა და პითაგორელთა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე განაცხადა, რომ რიცხვი „სამი“ ღვთაებრივ არსს გამოხატავს, რიცხვი „ოთხი“ - ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართებას, რომელიც ღვთის არსის გამომხატველი „სამისა“ და ადამიანის პიროვნულობის აღმნიშვნელი ერთის ჯამია. მათი შეკრებით, ანუ, ღვთაებრივი არსისა, ერთი მხრივ, და ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართების შეკრებით, მეორე მხრივ, მიიღება რიცხვი „შვიდი“, რომელიც ანტიკურ აზროვნებაში ადამიანის ღმერთთან შერწყმას აღნიშნავს.[2] შვიდსიმიანი საკრავის შვიდი ბგერით იქმნება მელოდია, რომელიც შვიდ ფერს, შვიდ პლანეტას შეესაბამება.[3]

ვ. ტოპოროვმა მხატვრულ ლიტერატურაში რიცხვთა პოეტიკის ორი მიმართულება გამოყო: 1. ამ მიმართულების საფუძველი პითაგორელთა მათემატიკური ესთეტიკის ძირითად პრინციპად იღებს საწყისს, რომლის მიხედვით სილამაზის არსი რიცხვთა შინაგან ურთიერთობაშია დამალული; 2. მეორე უდიდესი და წამყვანი ფიგურა ნეტარი ავგუსტინეა, რომელიც თავის არაპითაგორულ იდეაში ათანხმებს პლატონისა („ტიმეოსი“) და პლოტინეს თვალსაზრისს რიცხვებისა და ჰარმონიის თაობაზე.[4] მანვე აღნიშნა, რომ მილერის მიერ „მაგიურ ციფრად“ სახელდებული 7 ახასიათებს სამყაროს ერთიანობის იდეას და უკავშირდება მსოფლიო ხის აგებულებას; მისი სიმბოლიკა უმეტესწილად გამოიხატება ზღაპრებში შვიდი გმირის, შვიდი ძმის, შვიდი დის და ა. შ. ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეებით, რის გამოც იგი მითოპოეტურ სამყაროში უნივერსალურ ციფ-

[1] Мифы народов мира. Энциклопедия. I. М. 2000, გვ. 629.
[2] Э. Шюре. Великие посвященные. М. 1998
[3] ს. წერეთელი. ანტიკური ფილოსოფია. თბ. 1968, გვ. 83-93.
[4] Мифы народов мира. Энциклопедия. II. М. 2000, გვ. 631.

რად არის აღიარებული. ეს ციფრი სამყაროს სტრუქტურისა და მასში ადამიანის ორიენტაციის წესების რეპროდუცირების საფუძვლად მიიჩნევა.[5]

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია რიცხვთა შესახებ მითოსურ და ფოლკლორულ აზროვნებაში არსებული მონაცემები, რომელთაგან რამდენიმეზე კეთდება განსაკუთრებული აქცენტი. მათ შორისაა შეხედულებები „შვიდის“ შესახებ. ძველი ეგვიპტელები, შუმერები, ბაბილონელები, ქალდეველები „შვიდს“ უკავშირებდნენ ბუნების, კოსმოსის, ყოველდღიური ცხოვრების და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. იგი საკრალურ ციფრად მიიჩნეოდა.[6] ქართულ ფოლკლორში „შვიდი“ საუკუნეთა მანძილზე სიმბოლურად გაიაზრებოდა: „შვიდი დღე და შვიდი ღამე“, „შვიდი მაისის წვიმა“, „შვიდი ნაწნავი თმა“, „შვიდი ცა“, „შვიდი მხარი მათრახი“, „შვიდი ჯამი მარგალიტი“. ე. ჩხეიძის კვლევის მიხედვით, „შვიდი მაისის წვიმა“ სამეურნეო, აგრარული ლექსია, რომელიც ვედრებაა ამინდის ღვთაებისადმი. ხალხი შვიდი მაისის წვიმას მაგიურ ძალას ანიჭებდა. ამ დღეს ქალები ფერხულს აბამდნენ და ლექსებს მღეროდნენ, მათი რწმენით: „შვიდ მაისს რომ შვიდი ძირი ყანა იდგეს, შვიდი მაისის წვიმა მოხვდეს, მაინც ყანად იქცევა“.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ „შვიდი“ ყოველთვის არ ქმნის დადებით კონოტაციებს. კერძოდ, ვახტანგ კოტეტიშვილმა ხალხური ლექსის „იავნანას“ კომენტირებისას აღნიშნა, რომ ამ ლექსის მიხედვით „შვიდი“ უბედურების სიმბოლოა და მის საფუძვლებს ბაბილონურ თქმულებათა წიაღში ხედავდა.[8] იგი ბაბილონური „შვიდი ავი სულის“ შესაბამისია. მიუხედავად ამისა, ქართულ ხალხურ ტრადიციებსა და ეთნოკულტურულ სივრცეში რიცხვ „შვიდს“ ძირითადად მაინც დადებითი სიმბოლური ფუნქცია აქვს დაკისრებული.

შვიდის საკრალურობა და დადებითი კონოტაციურობა ბიბლიური პრონოეტული სახისმეტყველებითაც აიხსნება. ნუმეროლოგიური მსოფლმხედველობის მიხედვით, ექვსისა და ერთის ჯამი, ანუ შვიდი, იდუმალებისა და ცოდნის წინააღმდეგობრიობაა.[9]

[5] Мифы народов мира. Энциклопедия. II, გვ. 630-631.
[6] ე. ჩხეიძე. რიცხვთა სიმბოლიკა ქართულ ფოლკლორში. ლიტერატურული ძიებანი, XXII. თბ. 2001, გვ. 436.
[7] ე. ჩხეიძე. რიცხვთა სიმბოლიკა ქართულ ფოლკლორში, გვ. 436.
[8] ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბ. 1961, გვ. 325.
[9] Мифы народов мира. Энциклопедия. I, გვ. 630.

სერგი ბულგაკოვმა შვიდის სიმბოლიკა ქრისტიანული მსოფლმხედველობით ახსნა: „იქ, სადაც ჯვრის ირგვლივ განლაგებულია შვიდი ყვავილისაგან შემდგარი თაიგული, ბოლოკაუჭა ტოტებით, მქარგველი, საფიქრებელია, მიგვანიშნებდეს შვიდ სანთელზე, რომელიც იოანე ღვთისმეტყველმა იხილა მაცხოვრის ტახტის წინ (გამოცხ. 4, 5)[10]. შვიდი სასანთლე კი ნიშანია ქრისტიანული ეკლესიის შვიდი საიდუმლოსი, სულიწმინდის იმ მადლისა, რომელიც გადმოედინება მორწმუნეებზე მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის წყალობით. შვიდი სინათლე შეესაბამება ღვთაებრივ შვიდ სულს, დედამიწაზე გამოგზავნილს (გამოცხ. 5, 6), ასევე შვიდ საეკლესიო კრებას, კაცობრიობის ისტორიის შვიდ ძირითად პერიოდს, ცისარტყელას შვიდ ფერს, ანუ შეესაბამება საკრალურ რიცხვს -შვიდს, რომელიც საფუძვლად უდევს ზეციურ და მიწიერ მრავალ კანონს. შვიდის სიმბოლიკა უკავშირდება ასევე სულიწმინდის შვიდ ნიჭსა და ახალი აღთქმის შვიდ საიდუმლოს“[11].

ნანა ხაზარაძემ შვიდის სიმბოლიკის ასახსნელად საჭიროდ მიიჩნია მითოსურ, ფოლკლორულ, საღვთისმეტყველო, ლიტერატურულ და ეთნოგრაფიულ მონაცემთა გათვალისწინება. იგი წერს: „ქართლის ცხოვრების I-II ტომებში წარმოდგენილ თხზულებებში „შჳდ“-ი და „შჳდ“-კომპონენტიანი რიცხვითი სახელები უმთავრესად საკრალური სიმბოლიკით ხასიათდება“.[12] მისი დასკვნით, „შვიდის საკრალიზაციის სათავეები არა მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურაშია საძიებელი, არამედ ქართველთა უძველეს, წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებშიც, რომელთა რეკონსტრუქციას დიდად უწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი, ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, ქართული ფოლკლორის ნიმუშები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი და, რასაკვირველია, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი უნიკალური მასალა“.[13]

„შვიდის“ სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ ბიბლიაში. ბიბლიური შესაქმის პროცესი ღმერთმა ექვსი დღის განმავლობაში განახორცი-

[10] ახალი აღთქმის ტექსტები აქაც და შემდეგშიც მითითებულია შემდეგი გამოცემიდან: ახალი აღთქუმაჲ. საქართველოს საპატრიარქოს გამოც. თბ. 1995.
[11] Булгаков, Настольная книга священнослужителя, т. IV. М.. 1983, გვ. 51.
[12] ნ. ხაზარაძე. „შჳდ“-ის სიმბოლიკისათვის „ქართლის ცხოვრებაში“. კრებ.: სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბ. 2003, გვ. 165.
[13] ნ. ხაზარაძე. „შჳდ“-ის სიმბოლიკისათვის „ქართლის ცხოვრებაში“, გვ. 165.

ელა, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა. კვირის მეშვიდე დღე ღვთისაა. ე. ი. მეშვიდე დღე განსხვავებულია, წინა ექვსთან დაპირისპირებულია, იგი დიდი სიახლეა, რადგან მეშვიდე დღეს თვისებრივად განსხვავებულ ქმედებას აქვს ადგილი. ოღონდ სრულყოფილება ვერ მიიღწევა ერთ-ერთის უგულებელყოფით. სისრულისათვის ერთიანობაა აუცილებელი.

ბიბლიაში „შვიდის“ სიმბოლიკა ერთ-ერთი წამყვანია; ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს წარღვნის ეპიზოდი, წარღვნისა, რომლის შესახებ უფალმა მართალი ნოე გააფრთხილა და მოსამზადებლად შვიდი დღის ვადა მისცა, რათა კიდობანში შესულიყო. უფლის ნებით ნოეს სახლის შვიდი წევრი, „ყოველი წმინდა პირუტყვიდან შვიდ-შვიდი“ (უწმინდურთაგან - ორ-ორი) შევიდა კიდობანში, რათა სიცოცხლე გაგრძელებულიყო და სამყარო განახლებულიყო. ე. ი. ორი ეპოქა გამოიყოფა: წარღვნამდელი და წარღვნისშემდგომი, რაც თავისთავად მიუთითებს განახლების აუცილებლობას. ორმოცი დღის განმავლობაში წვიმდა, წყლის მოქცევა-მიქცევას 150-150 დღე დასჭირდა, მწვერვალის გამოჩენიდან ორმოცი დღის შემდეგ ნოემ ყორანი გაუშვა წყლის დონის შესამოწმებლად, ხოლო ყორნის გაშვებიდან შვიდი დღის შემდეგ მტრედი გაუშვა, რომელმაც წარღვნის დასრულების ნიშნად ზეთისხილის რტო მოუტანა. ისევ შვიდი დღის შემდეგ კი ხელმეორედ გაგზავნილი მტრედი აღარ მობრუნდა, რაც წარღვნის საბოლოო დასრულების ნიშანი იყო. ასევე, სიმბოლურ ფუნქციას იძენს ეგვიპტეში მოსავლიანობა-მოუსავლიანობის 7-7 წელი, რაც ღვთის ნებითვე იყო განგებული. საგულისხმოა ისიც, რომ სოლომონის ტაძარი შვიდ სვეტს ემყარება, რომელთაგან უმთავრესია მეშვიდე, ბოლოს აღმართული, იგი ცხოველი სვეტია, ცხოველი სვეტი კი საღვთო ჭეშმარიტებაა, საღვთო სიბრძნეა, წმინდა სიბრძნეა. საზოგადოდ, შვიდი სვეტი სიბრძნისა და ჭეშმარიტების დასაყრდნობია, საფუძველია.

უაღრესად მნიშვნელოვანი და კონცეპტუალურია იოანეს სახარებასა და გამოცხადებაში ექვსისა და მეშვიდის სიმბოლური გააზრება. „ექვსი“ უკანასკნელ ჟამს განახორციელებს, „მეშვიდე“ სიახლის მიჯნაზე მდგარი რიცხვია; იესო ქრისტემ პირველი სასწაულის განხორციელებისას კანაში ქორწილში ექვს სარწყულში ჩაასხმევინა წყალი, რომელიც მეშვიდეში გადასხმისას ღვინოდ გარდასახა და სუფრაზე უკვე „ღვინო კეთილი“ მიიტანეს (იოანე. 2, 6-10). მაცხოვარმა კაპერნაუმში სნეული „მეშვიდე ჟამს“ განკურნა (იოანე. 4, 52); შაბათს, ასევე მეშვიდე დღეს, განკურნა უძლურიც (იოანე. 5, 9). საგანგებოდაა მოხმობილი მეშვიდე ჟამი და მეშ-

ვიდე დღე, როგორც განახლების, სიცოცხლისაკენ მიბრუნების დღეები. „გამოცხადებაში“ „შვიდის“ სიმბოლიკა, რომელიც აპოკალიპსური რიცხვია, ისევ და ისევ ღვთის განგებას, ღვთის წინასწარგანზრახულებას უკავშირდება. სახისმეტყველებითია შვიდი ბეჭდის ახსნა, ვინაიდან მეშვიდე ბეჭდის ახსნისას თვისებრივად განსხვავებული რამ ხდება (გამოცხ. 8, 1). ასევე, მეშვიდე ანგელოზის საყვირის ხმაზე უნდა აღსრულებულიყო ღვთის საიდუმლო (გამოცხ. 10, 7). მეშვიდე ანგელოზთანაა დაკავშირებული იმ ქმედების აღსრულება („იქმნა“), რასაც დანარჩენი ექვსი ანგელოზის ქმედება შეიცავდა (გამოცხ. 16, 17). ახალი აღთქმა აღიარებს შვიდ საიდუმლოსა და შვიდ ნიჭს სული წმიდისა; აგრეთვე, შვიდ მოწყალებას ხორციელ საქმეთა და შვიდი მოწყალებათა საქმენი სულიერნი; წმიდა წერილში ზნეობის მთავარ განმსაზღვრელ თვისებად მიჩნეულია შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის განმწმენდელი - შვიდი სათნოება; აღსანიშნავია ისიც, რომ მთავარანგელოზთა რიცხვი საკრალური ციფრით - შვიდით და ცხრით განისაზღვრება.

ეფრემ მცირის მიერ სამოციქულო წიგნთა თარგმანებებისათვის დართული იამბიკო შვიდის სიმბოლიკის საფუძველზე სამოციქულო წიგნთა ერთიანობას ასახავს. დავიმოწმებ ტექსტს:

სახედ სიბრძნისა გიწესს: მოვედ და შევედ
და განიცადე წიგნი სამოციქულოჲ,
ვითარ მოქმედებს მას შინა იატაკად
ლუკა საქმესა ქრისტეს მოციქულთასა,
და იაკობ და პეტრე იოვანეთურთ
შეუდგმენ შჳდთა სუეტთა იუდაჲს თანა,
ხოლო სართულსა მისსა პავლე შეამკობს
მენაკებითა ოქრო-ცხებულებითა,
რაჲთა შჳდობაჲ კათოლიკეთაჲ დაჰრთოს
ებისტოლეთა მიერ მრჩობლ შჳდეულთა
ამათი თჳსად განმასაკუთრებელი,
უფალო, თჳსად შენდა განისაკუთრე.[14]

ეფრემი თავის სახისმეტყველებას აფუძნებს სოლომონის იგავთა წიგნზე: „სიბრძნემან იშენა თავისა თჳსისა სახლი, და ქუეშე შეუდგნა მას შჳდნი სუეტნი“ (იგავნი სოლომ. 9, 1)[15].

[14] ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1978, გვ. 497.

ერთ-ერთი ღმრთისმშობლისანი იესო ქრისტეს მოვლინებას უხილავი, შემოქმედი ღმერთის, წმიდა სამების მიერ შემდეგნაირად აღწერს: „რაჟამს იხილა უხილავმან შემოქმედმან ქმნული ჴელთა თვისთაჲ უწყალოდ წარტყუენული, აღიძრა მოწყალებითა და ***შჳდთა მათ სამყაროთა*** სიმაღლენი სიბრძნით მოდრიკნა. და გარდამოხდა სიბრძნე იგი და სიტყვაჲ მამისაჲ ქუეყანად დაემკჳდრა სიმდაბლით საშოსა შენსა“.[16]

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს „შვიდის“ სიმბოლურ მნიშვნელობას დროსა და სივრცეში ბიბლიური ტექსტებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის მიხედვით.

„შვიდის“ სიმბოლური მნიშვნელობა ქართულ საისტორიო მწერლობაში. ივანე ჯავახიშვილმა „შვიდის“ შესახებ თავისი შეხედულება გამოთქვა მონოგრაფიაში „ქართული სამართლის ისტორია“, რომელშიც მან ეს ციფრი არ მიიჩნია სინამდვილედ და იგი მხოლოდ ბედნიერ რიცხვად აღიარების გამო არის საისტორიო თხზულებებში აქცენტირებული,[17] ასევე, კ. კეკელიძე აღმოსავლური ლიტერატურის განხილვისას აღნიშნავდა, რომ შვიდი სამეფოს შესახებ თვალსაზრისი უფრო სიმბოლურია, ვიდრე რეალური.[18] ვიკტორ ნოზაძემ „შვიდის“ მრავალმხრივ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის უფრო ასტროლოგიურზე. თავის საბოლოო დასკვნაში შვიდი წმინდა რიცხვად აღიარა. მისი სიტყვით: „რიცხვს „შვიდი“ მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ვით წმიდა რიცხვი, ქვეყნიერების ყოვლადობისა და მთლიანობის გამომსახველი იყო. „შვიდი“ გახდა უმაღლესი ძალის გამოხატულებად და ბედნიერების აღმნიშვნელად“.[19] ისტორიკოსთა ნაწილი შვიდი სამეფოს არსებობას საქართველოში რეალურად მიიჩნევს.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „რიცხვი 7, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეესაბამება და თუ პატარა სამეფოებსაც ჩავთვლით, მეტიც გამოვა, ხოლო შვიდად აქ იმიტომ არის ნაანგარიშევი, რომ ბედნიერ რიც-

[15] ძველი აღთქმის ტექსტები აქაც და შემდეგშიც მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ბიბლია, ტექსტი ყველა არსებული ნუსხისა და რედაქციის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ. თბ. 2015.

[16] ნევმირებული ძლისპირნი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გულნაზ კიკნაძემ. თბ. 1982, გვ. 831.

[17] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. I. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 182-183; ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. II. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 92-93.

[18] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. II. თბ. 1958, გვ. 170-171.

[19] ვ. ნოზაძე. ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე. 1957, თბ. 2005, გვ. 338-341.

ხვად ითვლებოდა და სხვაგანაც ამ მოსაზრების გამო შვიდად ანგარიშობდენ ხოლმე. უფრო საგულისხმო ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში ის ცხადი გარემოებაა, რომ საქართველო მისი ძლიერების ხანაშიც რამდენისამე სამეფოსაგან შეერთებულ სახელმწიფო სხეულად ითვლებოდა, თუმცა ერთი გვირგვინოსნის მბრძანებლობის ქვეშ".[20] ამავე მონოგრაფიის მეორე წიგნშიც საქართველოს შვიდი სამეფოსაგან შედგენის საკითხი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მიხედვით ასე შეაფასა: „თამარ მეფის მამის სიკვდილის შემდეგ ისტორიკოსის სიტყვისამებრ „შემყრელთა შვიდთავე ამის სამეფოსა" დიდებულებმა მოახსენესო და სხვ... მაშინდელი ტერმინოლოგიით სამეფოები თითქოს ჯერ ისევ არსებობდენ, თუმცა ისინი ყველა უკვე ერთ ხელმწიფეს ემორჩილებოდენ. ყურადღების ღირსია, რომ ისტორიკოსი ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოობით რიცხვს-კი არა ხმარობს, არამედ მრავლობითს, და ამბობს ხოლმე „სამეფონიო", შვიდი სამეფოო. როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მთლიანად აღნიშვნა უნდოდათ, მაშინ ტერმინად ხმარობდენ ხოლმე „ყოველი სამეფო",[21] რაც მთელ სამეფოს ნიშნავს.

საისტორიო წყაროები, განსაკუთრებით კი საისტორიო თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ძალიან ხშირად ახსენებს საქართველოში შვიდი სამეფოს არსებობას. აკაკი წერეთლის ცნობილი სიტყვებიც: „შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერი", - ამავე მეტაფორული და ალუზიური გამომსახველობითაა შთაგონებული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ძველ საქართველოში საგანმანათლებლო სისტემა, ბიზანტიის მსგავსად, შვიდის სიმბოლიკას, ტრივიუმ-კვადრივიუმის პრინციპს ემყარებოდა.

საქართველოში შვიდი სამთავროს არსებობის შემცველი თვალსაზრისი ბიბლიური მონაცემების და მასზე დაფუძნებული ლიტერატურის ცნობების საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო.

„შვიდის" სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ ქართულ ჰაგიოგრაფიაში.„შვიდის" სიმბოლური გააზრება დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲში", რომელშიც მეექვსე დღე და მეექვსე ჟამი კერპთა შემუსვრის დღე და ჟამია, ისევე როგორც სახარებაში მეექვსე დღე და მეექვსე ჟამია ჯვარცმის დღე და საათი. „მოქცევაჲს" ეს სიმბოლიკა არმაზულ ეპოქას

[20] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. I. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, გვ. 182-183

[21] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. II. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 92-93.

ამთავრებს საქართველოში, ხოლო მეშვიდე უკვე ქრისტიანულ ეპოქას იწყებს, ე. ი. მეექვსე-მეშვიდე დღით მინიშნებულია ძველი ეპოქის დასასრული და ახლის დასაწყისი. უთუოდ მნიშვნელოვანია ღვთის განგებითა და მადლით, წმ. ნინოს ლოცვითა და ზეციდან გადმოსული ცეცხლოვანი ჭაბუკის ძალისხმევით სვეტიცხოვლის ტაძრის მეშვიდე სვეტის აღმართვა; იგი არის უდიდესი, საკვირველი და თვისებრივად ყველაზე მნიშვნელოვანი სვეტი, რადგან უფლის კვართს ეყრდნობა.

შვიდის სიმბოლურობა დამოწმებულია იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“: წმ. შუშანიკი აღესრულა სასახლიდან წასვლის, ქმრისგან განდგომის მეშვიდე წელს.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“: მოთხრობილია წმ. ევსტათის შეპყრობის შესახებ, რომელთან ერთად შვიდი სპარსელიც შეიპყრეს: „ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: “ვინ არიან იგინი”?!. და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: “ერთსა გუშნაკ ჰრქჳან, ერთსა ბახდიად, ერთსა ბურზო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე”[22].

„წმ. აბო თბილელის წამებაში“: „და არა თუ ხოლო ჩემდა მარტოჲსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთა ჯერ-არს თქუენდაცა დაკჳრვებად ჩემ თანა, ***რომელნი ესე მეშჳდესა დარსა ზედა ვდგათ****, რომლისა ჟამისათჳსცა უფალი იტყჳს, ვითარმედ „მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ“ და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ „მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის-თქუმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შეიკრებდენ მოძღურებასა ქავილითა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარემიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“, რომელიცა ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩუენ შორის“. ე.ი. პირველი თავის დასაწყისში ნათქვამია, რომ ქართველები „ესე შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ“[23], რაც ქრისტიანულ რელიგიაში არსებულ ესქატოლოგიურ მოტივზე მიუთითებს და რაც კონცეპტუალურია კონკრეტულად იოვანე საბანისძის ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის, საზოგადოდ, ქრისტიანული ლიტერატურისათვის, ხოლო ესქატოლოგია მოძღვრებაა სამყაროს აღსასრულის შესახებ. ფსალმუნის სიტყვები - „წელი ერთი, ვითარცა ათასი“ (ფს.

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 32.
[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 49.

89, 4) - იმას ნიშნავს, რომ ერთი წელი ათასეულს უტოლდება და, ამის საფუძველზე, როგორც აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში, „მეშვიდე დარსა ზედა“ დგომა ქართველი ერის მეშვიდე ათასწლეულში ყოფნას გულისხმობს[24]. მერვე უკვე მარადიულობაა. ქრისტიანულ რელიგიაში გავრცელებული თვალთახედვით, სამყარო და კაცობრიობა იარსებებს შვიდი ათას წელს; უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანულ საღვთისმეტყველო-პატრისტიკულ ლიტერატურაში უმთავრესი საკითხია სამყაროსა და კაცობრიობის სამზადისი მარადიული ცხოვრებისათვის, რომელიც სიმბოლურად მერვე ათასწლეულში დადგება; შვიდი ათასწლეული ქვეყნის არსებობის ჟამია, ხოლო მერვე - მარადიულობასთან ზიარებაა; რასაკვირველია, ყოველივე ეს შესაძლებელი და მისაწვდომია სიმბოლური აზროვნებისა და სახისმეტყველების საფუძველზე. ე. ი. იოვანე საბანისძის მსოფლმხედველობის მიხედვით, ქართველები ბოლო ჟამის წინაშე დგანან, მეშვიდე ათასწლეულში, რომელსაც მოსდევს განკითხვის ჟამი, სუფევა და მარადიულობა, „მერვე დარი“; კ. კეკელიძის შეხედულებით, ესქატოლოგიისადმი ინტერესი საზოგადოებაში განსაკუთრებით მაშინ ვლინდებოდა, როდესაც ერი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდებოდა. შესაბამისად, იოვანე საბანის ძის თხზულებაში ესქატოლოგია საქართველოში მიმდინარე ურთულეს პროცესებს წარმოაჩენს[25]. ესქატოლოგიური მოტივის დამოწმება და მისი გამოყენება ავტორის მსოფლმხედველობაში მოწმობს ერის, სახელმწიფოს გაფრთხილებას, ავტორის თქმით, მოახლოებულია ბოლო ჟამი, სამყაროს აღსასრული; იოვანე საბანის ძის ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს ესქატოლოგიური ჟამის დადგომა, სამყაროს აღსასრულის მოახლოება[26].

შვიდი საერო მწერლობაში:

[24] რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია. თბ. 1987, გვ. 57-62.

[25] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. XIV. თბ. 1986, გვ. 36.

[26] კ. კეკელიძის აზრით, იოვანე საბანის ძეს „არაბები და მათი ყოფაქცევა საქართველოში შეუდარებია ანტექრისტესა და მისი მოქმედებისათვის ქვეყნად, მას სურს დაგვანახოს, რომ არაბები იმავე მეთოდით მოქმედებენ მორწმუნეთა გადასაბირებლად და შესაცდუნებლად ჩვენში, როგორითაც იმოქმედებს ანტექრისტე ქვეყნის აღსასრულის წინ. არაბების ასეთს საქციელს ის მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ მოსალოდნელია აღსასრული ქვეყნისა“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. XIV, გვ. 37), რისთვისაც დაიმოწმა იოვანე საბანის ძის სიტყვები: „რომელნი ესე შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 49).

„შვიდის“ სიმბოლური მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“. „შვიდის“ სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მხატვრული ფუნქციით მჟღავნდება. პოემაში შეინიშნება ის როლიც, რომელიც რიცხვს, კერძოდ, ციფრ „7“-ს ჰქონდა მითოპოეტურ სამყაროში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შვიდის ორი კონოტაციური ველი: 1. პირველი დაკავშირებულია შვიდ მნათობთან და შვიდ ცასთან, 2. მეორე კი ინდოეთის შვიდი სამეფოსაგან შედგენილობას უკავშირდება.

1. ავთანდილის მიმართვა შვიდი მნათობისადმი - „აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან**:** მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან, მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან, მას გააგონნენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან”. ამ სტროფში მნათობები ორ რიგადაა წარმოდგენილი. პირველი იწყება დღის მნათობის, მზის ხსენებით და მას მოჰყვებიან ოტარიდი, მუშთარ და ზუალ, მეორე კი იწყება ღამის მანათობლის, მთვარის ხსენებით და მას მოჰყვებიან ასპიროზი და მარიხი[27]. შვიდი მნათობისადმი ავთანდილის მიმართვას ეხმიანება ქაჯეთის ციხეზე საომრად მიმავალი სამი გმირის შესახებ ნათქვამი: „მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“ (1408/1409), რაც ზემოაღნიშნული შვიდი მნათობისაგან პოემის გმირთა დაცვას მიუთითებს.

ფრიდონი ნესტანის შესახებ ამბობს: „მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა ვეცი“ (628) [28]; ესაა სატურნის ცა, სატურნი შორეული მნათობია და მისი ხსენებით ნესტანის სიშორეა მონიშნული.

ნესტანის წერილიდან: „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენ ზედა ცისა შვიდისა“ (1309). ესაა ცხრიდან პირველი შვიდი ცა, შვიდი მნათობის ცა, რომლებზეც დამოკიდებულია გმირის მომავალი, ბედი, რაც ასტროლოგიურ ხედვას გამოხატავს.

2. ყოველივე ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შემთხვევით არ არის მოხმობილი ინდოეთის შვიდი სამეფო. აქვე ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ვფიქრობ, მცირეოდენ დაზუსტებას საჭიროებს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ინდოეთის შვიდი სამეფოს

[27] ე. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო, თბ. 2009, გვ. 205-208.

[28] ტექსტი მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი. I. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბ. 1966, გვ. 431.

წინასახე საქართველოში შვიდი სამთავროს არსებობა უნდა ყოფილიყო. სწორედ ბიბლიური მონაცემების, „ქართლის ცხოვრების“ ცნობების საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო საქართველოში შვიდი სამთავროს არსებობის შემცველი თვალსაზრისი. დავით აღმაშენებლის ეპიტაფიის ადრინდელი, თავდაპირველი ტექსტი, რომელიც ეპიტაფიის ავტორის ხელიდან უნდა ყოფილიყო გამოსული - თორმეტის სიმბოლიკას ასახავს: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს“, რომელიც მაცხოვრისა და თორმეტი მოციქულის, საიდუმლო სერობის ევანგელურ სიმბოლიკა-მეტაფორას გულისხმობს; ხოლო მეორე ვარიანტი, უფრო გვიანდელი - „ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს“ - შვიდის სიმბოლიკას ემყარება და ტექსტი პოლიტიკურ ელფერს იძენს.

ინდოეთის მეშვიდე სამეფოს შეერთება ექვს სამეფოსთან ინდოეთის მოწესრიგებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია, რაც ღვთის განგებულებით განისაზღვრა. სარიდანმა ღვთის ნებითა და პიროვნული თავისუფალი არჩევანით გადაწყვიტა ქვეყნის გაერთიანება, რაც შოთა რუსთველის პოლიტიკურ-იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების გამოხატულებაა. სარიდანის მეშვიდე სამეფო გახდა „მეშვიდე სვეტი“, ანუ უმთავრესი და ქვეყნის განახლების საწინდარი. თუმცა მან თავისი ამ ნაბიჯით თავის მომავალ მემკვიდრეს სამეფო უფლება და ტახტი დაუკარგა. მაგრამ ღვთის განგებით ტარიელი უნდა გახდეს გაერთიანებული ინდოეთის, შვიდი სამეფოსაგან შედგენილი ერთიანი სახელმწიფოს სამეფო ტახტის მფლობელი; ინდოეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ტარიელმა დაბადებამდე დაკარგა სამეფო უფლებები, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყნის გაერთიანება და ამის შედეგად მისი გაძლიერება აუცილებელი და გარდუვალი იყო, ტარიელმა თავად უნდა იბრძოლოს მეფობისათვის, სამეფო უფლების მოსაპოვებლად.

ფარსადანის მიერ ტარიელის შვილად აყვანა და აღზრდა ტარიელს კიდევ ერთხელ აძლევს სამეფო უფლებების მოპოვების შესაძლებლობას. მაგრამ ნესტან-დარეჯანის დაბადების შემდეგ მან მეორედ დაკარგა სამეფო უფლება და ამიერიდან მის მოსაპოვებლად თავად უნდა იბრძოლოს. ორგზის სამეფოტახტდაკარგულმა ტარიელმა თავად უნდა მოიპოვოს ინდოეთის სამეფო ტახტი, რომლის მოპოვების გზა გადის გაერთიანებული ინდოეთის მეფის ასულზე, ნესტან-დარეჯანზე. ყოველივე ეს კი ხდება ღვთის განგებით, „რამეთუ არავინ ჩუენგანი თავით თვისით მოკუდების“ (ჰრომ. 14, 7). ტარიელს ყოველგვარი პირობა აქვს სამეფო უფლების მო-

საპოვებლად. მას სრულიად განსაკუთრებული, უდიდესი ფუნქცია აკისრია ინდოეთის მოწესრიგების საქმეში. ინდოეთის ჰარმონიზება კი საფუძველი უნდა გახდეს სხვა ქვეყნების, ანუ მსოფლიოს მოწესრიგებისა, რაც პოემის დასასრულს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა რემინისცენციით არის წარმოდგენილი: „შიგან მათთა საბრძალისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. უმთავრესი მისია ტარიელმა უნდა შეასრულოს. მან უნდა ჩაუყაროს საფუძველი სამყაროს სულიერ და ინტელექტუალურ გარდასახვას.

მართალია, ინდოეთში სარიდანისა და ფარსადანის სამეფოები შეერთდა და თითქოს მოგვარდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ მოუგვარებელი დარჩა უმთავრესი: ინდოეთის შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის, ტახტის მემკვიდრეობითად გადაცემის საკითხი. ამიტომ საჭიროა ახალი ძალა, რომელიც ინდოეთს საბოლოოდ გარდაქმნის და სამყაროს ჰარმონიულობას ჩაუყრის საფუძველს. ინდოეთი განახლებადია და იგი ტარიელმა უნდა განაახლოს. განახლების გზა კი ურთულეს სულიერ ცხოვრებაზე გადის. მის ცხოვრებას ღვთის განგებით წარმართავს „სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული“, ხოლო „უფროჲს ამათსა სიყუარული არს“ (I კორ. 13, 13).

ამრიგად, ინდოეთის მოწესრიგება საფუძველი უნდა გახდეს სხვა ქვეყნების, ანუ მსოფლიოს მოწესრიგებისა. უმთავრესი მისია კი ტარიელმა უნდა შეასრულოს. ფაქტობრივად, მან განახლებული მსოფლიოს მოწყობას ჩაუყარა საფუძველი. ტარიელმა, ავთანდილთან და ფრიდონთან ერთად, ძველზე, ტრადიციებზე დამყარებული, მაგრამ განახლებული ჰარმონია უნდა დაამყაროს, ღვთით ბოძებული სამეფო უფლება მან ბრძოლით, ტანჯვით, დაბრკოლებათა გადალახვით უნდა მოიპოვოს, რაც იმთავითვე სამართლით განაგო ღმერთმა.

სახოტბო პოეზიაში, კერძოდ, **„თამარიანში“** შვიდის სიმბოლური გააზრება განსხვავებულ კონტექსტებშია აღსაქმელი. ძირითადად, შვიდი მნათობია აქცენტირებული, რომლითაც თამარის მშვენიერება და სიძლიერეა მონიშნული:

„**ვერ მრავლებისა გატევრებისა**, **თამარ**, **შენ გიცნობ განცხადებულად**!

ჩვენ ვთქვათ: **ეს რად ჰგავ**? **ზეციერად ჰგავ** შვიდთა მნათობთა **დაშვენებულად**“ [29].

ასეთივეა სხვა მიმართვებიც თამარისადმი, რომლებშიც ისევ შვიდი მნათობია გასააზრებელი:

„კაცები გმონებს და გიპატრონებს ვეფხთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი,

არსნი მზედ გჴმობენ, ***შვიდნი გამკობენ,*** ვინცა შეგცოდა თავის საქნარი.

ვერ მიწვდენ ქებად - სხდენ თვითვე ვნებად! - პლატონის ენა, დავითის ქნარი“;

„სამყარო სრული, ედემს ასრული ჩანს შვიდთა მნათთა მანათობელი.

ჴსნად ადამისად, შექმნად ამისად უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ჴელი“[30].

თამარი შვიდ მნათობთანაა შედარებული. ესენია: მზე, ზუალი (სატურნი), მუშთარი (იუპიტერი), მარიხი (მარსი), ასპიროზი (მერკური), ოტარიდი (ვენერა) და მთვარე. ასტროლოგიური თვალსაზრისით, თითოეული მათგანი ცის თითო სარტყელში მდებარეობს და მათი განლაგება დედამიწიდან დაშორების კვალობაზეა დასახელებული. წარმართულ კულტურაში თითოეულს მიეწერება თავისი ღვთაებრივი ბუნება, თუ რა დანიშნულებისაა თითოეული და ადამიანის სულიერ თუ ფიზიკურ თვისებებს მიესადაგება; მაგ., მზე სინათლის, სიცოცხლის, ბედნიერების სიმბოლოდ მოიაზრება, ზუალი - სევდიანთა ეტლია, მუშთარი - მოსამართლეთა, მარიხი - მეომართა, ასპიროზი - მკურნალთა, ოტარიდი - მწიგნობართა, მთვარე - მოწყალეთა და სნეულთა. საგულისხმოა ისიც, რომ მნათობებს სქესიც აქვთ, აქვთ აგრეთვე თავისებური ფერი და სილამაზე, მათი ზემოქმედება ხალხმა განსაზღვრა და თითოეულს ადამიანური თვისება მიაწერა. ყველას აერთიანებს ადამიანის თვისებათა და მომავლის განსაზღვრა.

„იტყოდა: „ვჰკადრე, მე შევქმენ ადრე მათი ქვეყანა მოოჴრებულად“.

[29] ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1957, გვ. 189.
[30] ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. გვ. 201.

რა გესმა მშვიდსა ***საქმესა შვიდსა*** ‍ველ-ჰყავ სიბრძნითა არ შფოთებულად“[31];

სტროფში ასახულია თამარის ქრისტიანული ხატ-სახე, რომელიც სული წმიდის შვიდ ნიჭს ფლობდა, შვიდი მოწყალებათა სულიერი საქმენი და შვიდი მოწყალებათა ხორციელი საქმენი გამოარჩევდა, შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას შვიდ სათნოებას უპირისპირებდა.

ჩახრუხაძე ივდითის ბიბლიურ სიუჟეტს მიმართავს თამარის გამორჩეულობის საჩვენებლად: „ივდითის მწყდარი არს შვიდგზის მცდარი**,** რომე ჩანს შენგან არ მონაკვლევად“**[32]** - ივდითის წიგნში მოთხრობილია, როგორ მოკვეთა თავი ივდითმა ოლომფრე//ოლოფორნეს ისრაელის გადასარჩენად, რათა ისრაელელები იერუსალიმში შესულიყვნენ. ივდითი ბიბლიური დალილასა და დებორას კონტექსტშია წარმოდგენილი. ჩახრუხაძე ივდითს ახსენებს იმ მიზნით, რომ ივდითის მიერ მოკლული ოლომფრე შვიდგზის შეცდა, რადგან იგი თამარს არ ეტრფიალა.

თამარის სიძლიერე და მუსლიმთა კოალიციაზე გამარჯვება ასევე შვიდის სიმბოლიკითაა ასახული:

„ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო, ააელესო, დასვენ ებანი!“

რომელსა მშვიდნი ვერ გსწორვენ შვიდნი წყალ-ჯავარისა დაშვენებანი**,**

უძლე ძლიერთა, ბევრთა სძლი ერთა, ოს ყვენ ბობქარის მეოტებანი“[33].

აბუბაქრის, მუსლიმური კოალიციური ლაშქრის განადგურების კონტექსტშია მოხსენიებული და ძვირფასი ქვით მოოჭვილ მშვენიერებას გულისხმობს (წყალ-ჯავარი - ძვირფასი ბრჭყვიალა, მოელვარე ქვაა, თვალი პატიოსანი). თამარის სილამაზისა და გონიერების წყალობით შესაძლებელი გახდა აბუბაქრის მეთაურობით მუსლიმური კოალიციის განადგურება, რადგან თამარს მხარში ედგა ძლიერი მხედართმთავარი, მისი ღირსეული მეუღლე დავით სოსლანი.

ჩახრუხაძე ქრისტიანული მსოფლხედვის საჩვენებლად და თამარის ეპოქის საქართველოს სიძლიერის წარმოსასახავად შვიდი სვეტის ბიბლიურ სიმბოლიკას იყენებს, რაც სამება-ერთარსების მიერ შესაქმის პროცესის წარმართვის კონტექსტითაა მოტივირებული:

[31] ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. გვ. 186.
[32] ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. გვ. 195.
[33] ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. გვ. 210.

„ეწოდა მამა, ძე ეთამამა, სული ეწრფელა მთავრობიერსა.

სიტყვით ყვნა წყალნი, ზეცისა ძალნი დაბადნა ხანსა ერთ-წამიერსა.

სთნდა შექმნა ცისა შვიდ-სვეტ-მტკიცისა **ერთ-არსებასა სამ-სახიერსა“**[34];

მთელი ეს სტროფი წარმართულია ბიბლიური შვიდი სვეტის სიმბოლიკით, რაც განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ძველი აღთქმის წიგნებში.

ე.წ. „თამარისა და დავითის ქებაშიც“ შვიდის სიმბოლური არსის შესახებ ავტორის შეხედულებები რამდენიმეჯერ წარმოჩნდება. უწინარეს ყოვლისა, შვიდი მნათობებთანაა დაკავშირებული:

„დოვლათ-სვიანად სუფევს, მზიანად, ***შვიდთა მნათობთა*** გარმოზღუდვითა.

განათლდა არე მისით, ვით მთვარე, როს განწმულ იყოს ცანი ჴომითა“[35].

ეს კონტექსტი, რომელშიც „ცა“ მრავლობითშია, გულისხმობს ცის გახსნას, რის შედეგადაც არემარე ნათლდება. თავის მხრივ, ცის გახსნა ხალხური რწმენა-წარმოდგენებითაცაა ნასაზრდოები, რომლის მიხედვით, ამ მოვლენის შემსწრეს ოცნება, ჩანაფიქრი აუსრულდება. სტორფის შინაარსში მეფის გამოჩენა არის ცის გახსნად აღქმული, რაც ასტრონომიულ-ასტორლოგიურ და ხალხურ წარმოდგენებს ერთდროულად წარმოსახავს.

„ცნობისა სვეტი, ხვეჭით საჭვრეტი, სიმაღლედ, სივრცედ, სიგრძედ და სიღრმედ,

სჯულის ფიცარი ძნელ-საფიცარი, მადლთა ბარძიმი ერთა განსაწმედ,

მზე დაუვალი, მყის დაუვალი, არს ***შვიდი მნათი*** მას ზედ მოწამედ.

წმიდად აქვს სული დასთა-დასული სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ“[36];

[34] ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. გვ. 213.

[35] ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქება. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1964, გვ. 123; 18, 1-2.

[36] ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქება. გვ. 141, 72.

სტროფი გამორჩეულია მეტაფორებით, ბიბლიური მხატვრული სახეებითა და სიმბოლოებით, რომელთა საშუალებით თამარ მეფის ხატებაა წარმოდგენილი და ამის მოწმედ შვიდი მნათობია დამოწმებული.

თხზულების ორი სტროფი, 84-ე და 86-ე სტროფები, მნიშვნელოვანია მსოფლმხედველობრივ-ორთოდოქსული შეხედულებების გასათვალისწინებლად, რადგან ავტორი ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, შვიდ მწვალებლურ დაჯგუფებაზე, რომლებმაც, ფაქტობრივად, მწვალებლური სექტები ჩამოაყალიბეს, ჩამოთვლილია ეს წვალებები, რომელთა წინააღმდეგ მიმართა თავისი ქრისტიანული მართლმადიდებლური ხედვა მეფე თამარმა და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა მიხედვით წმინდა მამათა მოძღვრების დამკანონებლად მოგვევლინა, უარყო და დაგმო ყოველი მწვალებლური აზრი და მათ საფუძველზე აღმოცენებული სულის მავნებელი ბოროტება.

„***შვიდ წვალებითა***, შეცვალებითა იყვნეს ძველითგან შობის დღის მზმელნი

სადუკეველნი, ფარისეველნი, მცნებათა სჯულსა არ-კმა-მყოფელნი“[37].

„**შვიდის კრებისა** დამტკიცებისა დამბეჭდველ გვექმნა მათგან თქმულისა“[38].

თხზულებაში საუბარია შვიდ ენაზე, რასაც მოჰყვა ნებროთის მიერ გოდოლის შენება, რასაც პარალელები ეძებნება საისტორიო მწერლობაში:

„როს ***ენა შვიდი,*** მათთვის დამშვიდი, საზრახველ იყო სულთა ყოველთა –

ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, გოგ-მაგოგელთა,

მაშინ-ღა ნებროთ ჭკვით სამისებროთ გოდოლი ჴელ-ყო შენებად ველთა“[39].

ჩახრუხაძის „თამარიანი“ და ე.წ. „თამარისა და დავითის ქება“ ეპოქის სულისკვეთებას ასახავენ, ქრისტიანული მსოფლმხედველო-

[37] ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქება. გვ. 145; 84, 1-2.
[38] ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქება. გვ. 145; 86, 3.
[39] ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქება. გვ. 147; 91, 1-3.

ბის თხზულებებს ქმნიან, რითაც თამარ მეფისა და დავით სოსლანის მსოფლხედვას, მებრძოლ ხასიათსა და ბუნებას საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცის საფუძვლად მიიჩნევენ.

ამრიგად, „შვიდის“ სიმბოლურობა უძველეს კულტურულ სივრცეში უძველესი მისტერიებიდან, რწმენა-წარმოდგენებიდან, მითებიდან, აღმოსავლური კულტურიდან, ანტიკური ფილოსოფიიდან და ლიტერატურიდან იღებს სათავეს. არქაულ ტრადიციებში ნუმეროლოგიას საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რიცხვი აღიქმებოდა სამყაროს სახედ. ძველი ეგვიპტელები, შუმერები, ბაბილონელები, ქალდეველები, ძველი ბერძნები და რომაელები „შვიდს“ უკავშირებდნენ ბუნების, კოსმოსის, ყოველდღიური ცხოვრების და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. იგი საკრალურ ციფრად მიიჩნეოდა. ასევე იყო ქართულ ფოლკლორში, რომელშიც „შვიდი“ საუკუნეთა მანძილზე სიმბოლურად გაიაზრებოდა. „შვიდის“ სიმბოლური მნიშვნელობა დროსა და სივრცეში ბიბლიური ტექსტებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის მიხედვით ირეკლება ქართულ საისტორიო მწერლობაში.

„შვიდს“ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ქართულ ჰაგიოგრაფიაში. იგი დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, რომელშიც მეექვსე დღე და მეექვსე ჟამი კერპთა შემუსვრის დღე და ჟამია, ისევე როგორც სახარებაში მეექვსე დღე და მეექვსე ჟამია ჯვარცმის დღე და საათი. „მოქცევაჲს“ ეს სიმბოლიკა არმაზულ ეპოქას ამთავრებს საქართველოში, ხოლო მეშვიდე უკვე ქრისტიანულ ეპოქას იწყებს, ე. ი. მეექვსე-მეშვიდე დღით მინიშნებულია ძველი ეპოქის დასასრული და ახლის დასაწყისი. შვიდის სიმბოლური არსი შეინიშნება იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკი წამებაში“, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“, „წმ. აბო თბილელის წამებაში“, საერო მწერლობის ძეგლებში, რომელთაგან გამორჩეული ადგილი რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ უჭირავს, შვიდის სიმბოლიკა აისახა ძველ ქართულ სახოტბო პოეზიაში. „შვიდის“ გამოყენებას ყოველ ეპიზოდში განსხვავებული სიმბოლური, მეტაფორული, საღვთისმეტყველო საზრისი აქვს, რაც კონტექსტის ინდივიდუალური შინაარსითაა განპირობებული.

Nestan Sulava
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ABOUT THE SYMBOLIC MEANING OF "SEVEN" IN THE ANCIENT CULTURAL SPACE AND ANCIENT GEORGIAN WRITING

Summary

In the symbolic understanding of "seven", the worldview of the pre-Christian and Christian eras can be read together with the historical reality of Georgia. "Seven" belongs to the series of sacred numbers, in which hidden knowledge is encoded and contains secret meta-information, which, in one sense, is connected to the symbolism of numbers, from the second point of view, to enigmatic art. The sacredness of "seven" appears in the Georgian thought in several directions: 1. on the traces of the manifestation of united consciousness with mythological, folklore, and ethnocultural data; 2. religious, in particular, Christian worldview, which is based on biblical-evangelical and apostolic teachings; 3. historical, which can be imagined by understanding the historical past of Georgia; 4. in fictional literature.

The symbolism of "seven" in the ancient cultural space originates from ancient mysteries, beliefs, myths, oriental culture, ancient philosophy, and literature. In archaic traditions, numerology had a sacred, "cosmic" meaning, as the number was perceived as the face of the universe. Ancient Egyptians, Sumerians, Babylonians, Chaldeans, Hellenes, and Romans associated "seven" with nature, cosmos, everyday life, and other important events. Pythagoras and his followers based the process of theogony on the theory of numbers. The sacredness and positive connotation of seven are explained in the literature by biblical pronoetic facial expressions. God carried out the biblical creation process for six days and rested on the seventh day. The seventh day of the week belongs to God. So, the seventh day is different; it is a novelty because a qualitatively different action takes place on the seventh day. In this regard, attention is drawn to the episode of the flood, the symbolic understanding of six and seven in the Gospel of John and the Revelation, the building of the temples

of Solomon and Svetitskhoveli on seven pillars, which makes seven pillars the basis of wisdom and truth, the miracles of Jesus Christ; the New Testament recognizes seven mysteries and seven gifts of the Holy Spirit; seven mercies of carnal works and seven mercies of spiritual works; and in the Holy Scriptures, the seven virtues that cleanse the seven deadly sins are considered to be one of the main defining qualities of morality.

The symbolism of "seven" is reflected in Georgian historical writings in time-spatial traces of biblical books and theological literature. For example, "The History and Eulogy of Monarchs" mentions the existence of seven kingdoms in Georgia. The educational system in Medieval Georgia, similar to Byzantium, was based on the symbolism of seven, the trivium-quadrivium principle.

"Seven" has a symbolic meaning in Georgian hagiography, for example, "Conversion of Kartli", in which the sixth day and the sixth hour are the day and time of idolatry, just as in the Gospel, the sixth day and the sixth hour are the day and hour of the crucifixion. This symbolism of "conversion" ends the Armasian era in Georgia, and the seventh already begins the Christian era, so the sixth-seventh day marks the end of the old era and the beginning of the new. The symbolic essence of seven can be observed in Iakob Khutsesi's "The Martyrdom of St. Shushanik"; "The Martyrdom of St. Eustathe Mtskheteli"; "the Martyrdom of St. Abo Tbileli"; in Georgian "lives"; in hymnography, and in monuments of secular writing; of which Shota Rustveli's "The Knight in Panter Skin" occupies a special place. The article discusses the model of symbolic understanding of seven according to Georgian Christian literature.